რემედიაციის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგის, შეფასებისა და დოკუმენტირების ერთიან შიდასასკოლო მექანიზმი

შპს გარეჯის კერძო სკოლა
„ლამარია“

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს სკოლაში რემედიაციის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგის, შეფასებისა და დოკუმენტირების ერთიან შიდასასკოლო მექანიზმს.

რემედიაცია არის სწავლაში არსებული კონკრეტული შეფერხების შემცირების ან აღმოფხვრისკენ მიმართული მიზნობრივი მხარდაჭერა. იგი განკუთვნილია იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც, დიფერენცირებული სწავლების მიუხედავად, კვლავ უჭირთ კონკრეტული ცოდნის, უნარის ან საგნობრივი შედეგის დაუფლება.

რემედიაცია არ წარმოადგენს მოსწავლის დასჯის ან სტიგმატიზაციის მექანიზმს. იგი არის მხარდაჭერის ფორმა, რომელიც ეფუძნება მოსწავლის ძლიერ მხარეებს, ინდივიდუალურ საჭიროებებს, განმავითარებელ შეფასებას, თანამშრომლობასა და პროგრესზე დაკვირვებას.

რემედიაციის განხორციელებისას სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ეროვნული სასწავლო გეგმით, სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით, მოსწავლის შეფასების შიდასასკოლო სისტემით, ინკლუზიური განათლების პრინციპებითა და წინამდებარე წესით.

მუხლი 2. წესის მიზანი და ამოცანები

წესის მიზანია სკოლაში ჩამოყალიბდეს თანმიმდევრული, სამართლიანი და ეფექტიანი სისტემა, რომელიც დროულად გამოავლენს მოსწავლის აკადემიურ საჭიროებას და უზრუნველყოფს შესაბამისი სარემედიაციო მხარდაჭერის დაგეგმვასა და განხორციელებას.

- მოსწავლის საგნობრივი სირთულისა და მისი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება;
- მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული, კონკრეტული და გაზომვადი მიზნების დასახვა;
- დიფერენცირებული სწავლების შემდგომი დამატებითი მხარდაჭერის ორგანიზება;
- სარემედიაციო აქტივობების დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი;
- მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, საგნის მასწავლებლის, დამრიგებლისა და სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლობის უზრუნველყოფა;
- მოსწავლის პროგრესის დოკუმენტირება და შედეგების საფუძველზე შემდგომი საგანმანათლებლო ნაბიჯების განსაზღვრა.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ტერმინი	განმარტება
რემედიაცია	სწავლაში არსებული კონკრეტული პრობლემის მიზნობრივი აქტივობებით შემცირება ან აღმოფხვრა.
სარემედიაციო პროგრამა	მოსწავლის საჭიროებაზე დაფუძნებული მოკლე ან საშუალოვადიანი მხარდაჭერის გეგმა, რომელიც მოიცავს მიზანს, აქტივობებს, ვადებს, რესურსებს, პასუხისმგებელ პირს და პროგრესის მონიტორინგის ფორმას.
რემედიატორი მასწავლებელი	მასწავლებელი, რომელიც გეგმავს და ახორციელებს სარემედიაციო მხარდაჭერას, აკვირდება მოსწავლის პროგრესს და თანამშრომლობს მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და სკოლის შესაბამის სტრუქტურებთან.

დიაგნოსტირება	მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და სირთულეების შესწავლის პროცესი, რომელიც შეიძლება მოიცავდეს დაკვირვებას, სწრაფ ტესტირებას, ნამუშევრების ანალიზს, ზეპირ გამოკითხვას და სხვა მეთოდებს.
პროგრესის მონიტორინგი	მოსწავლის განვითარების დინამიკაზე სისტემატური დაკვირვება, მონაცემების შეგროვება და შედეგების ანალიზი სარემედიაციო მიზნებთან მიმართებით.
განმავითარებელი შეფასება	უკუკავშირზე ორიენტირებული შეფასება, რომელიც ეხმარება მოსწავლეს საკუთარი სწავლის გაუმჯობესებაში, ხოლო მასწავლებელს - სწავლების პროცესის ადაპტირებაში.

მუხლი 4. რემედიაციის ძირითადი პრინციპები

1. მოსწავლის საუკეთესო ინტერესის დაცვა - ყველა გადაწყვეტილება მიიღება მოსწავლის აკადემიური, სოციალური და ემოციური კეთილდღეობის გათვალისწინებით.
2. არასტიგმატიზება და ღირსების დაცვა - რემედიაცია არ უნდა აღიქმებოდეს მოსწავლის დასჯად ან საჯარო მითითებად მის სირთულეებზე.
3. საჭიროებაზე დაფუძნება - სარემედიაციო მხარდაჭერა ინიშნება კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენის შემდეგ.
4. მტკიცებულებაზე დაფუძნება - გადაწყვეტილებები ეფუძნება შეფასების შედეგებს, მასწავლებლის დაკვირვებას, მოსწავლის ნამუშევრებს და სხვა შესაბამის მონაცემებს.
5. მოსწავლის ძლიერ მხარეებზე დაყრდნობა - დაგეგმვისას გათვალისწინებულია ის უნარები, ინტერესები და რესურსები, რომლებიც მოსწავლეს უკვე აქვს.
6. თანამშრომლობა - პროცესში მონაწილეობენ საგნის მასწავლებელი, რემედიატორი მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი და საჭიროების შემთხვევაში სკოლის სხვა სპეციალისტები.
7. მოქნილობა - რემედიაცია შეიძლება განხორციელდეს გაკვეთილზე ჩაშენებული აქტივობებით, დამატებითი შეხვედრებით, მცირე ჯგუფებში ან ინდივიდუალურად.
8. პროგრესზე ორიენტირება - სარემედიაციო პროგრამა ფასდება მოსწავლის პროგრესით და არა მხოლოდ საბოლოო შედეგით.

მუხლი 5. რემედიაციის დაწყების წინაპირობა

რემედიაციის დაწყების წინაპირობაა შემთხვევა, როდესაც მოსწავლე დიფერენცირებული სწავლების, მასწავლებლის განმავითარებელი უკუკავშირისა და საკლასო მხარდაჭერის შემდეგ კვლავ ვერ ახერხებს კონკრეტული ცოდნის ან უნარის დაუფლებას.

- მოსწავლის განმეორებადი სირთულე კონკრეტულ საგნობრივ უნარში, მაგალითად: კითხვა, წაკითხულის გააზრება, წერითი მეტყველება, ამოცანის პირობის გააზრება, მაგალითების ამოხსნა, ზეპირი მსჯელობა და სხვ.;
- საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევის შეფერხება;
- მასწავლებლის დაკვირვების, დიაგნოსტიკური ტესტირების ან მოსწავლის ნამუშევრების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი საჭიროება;

- გაცდენილი მასალის აღდგენის აუცილებლობა, როდესაც მოსწავლეს საპატიო ან სხვა მიზეზით ჩამორჩენა დაუგროვდა;
- სწავლის მოტივაციისა და ჩართულობის დაქვეითება, რომელიც აკადემიურ შედეგებზე აისახება და საჭიროებს მხარდაჭერას.

რემედიაციის საჭიროების იდენტიფიცირება არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთჯერად დაბალ შეფასებას. გადაწყვეტილება მიიღება მრავალმხრივი მონაცემების ანალიზით.

მუხლი 6. მოსწავლის საჭიროების იდენტიფიცირება და დიაგნოსტირება

სარემედიაციო პროგრამაში მოსწავლის ჩართვამდე მასწავლებელი/რემედიატორი მასწავლებელი ახორციელებს დიაგნოსტირებას, რომლის მიზანია არა მოსწავლის „დამნაშავეობის“ ან „სისუსტის“ დაფიქსირება, არამედ კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროების და მისი მიზეზის გარკვევა.

- დაკვირვება მოსწავლის ჩართულობაზე საკლასო ოთახში;
- საკლასო და საშინაო ნამუშევრების ანალიზი;
- სწრაფი დიაგნოსტიკური ტესტირება კონკრეტულ უნარში;
- კითხვის შემთხვევაში - სიტყვების/ტექსტის სწრაფად ამოკითხვის, ფონოლოგიური ცნობიერების, წაკითხულის გაგებისა და ტექსტთან მუშაობის შემოწმება;
- მათემატიკის შემთხვევაში - მაგალითების ამოხსნის, ამოცანის პირობის ჩაწერის/გაგების, მოქმედებათა თანმიმდევრობისა და არგუმენტირების შემოწმება;
- მოსწავლესთან მოკლე საგანმანათლებლო საუბარი - რა უჭირს, რა ეხმარება, რა ფორმით სწავლობს უკეთ;
- საჭიროების შემთხვევაში მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაცია.

მუხლი 7. სარემედიაციო პროგრამაში ჩართვის წესი

9. საგნის მასწავლებელი ან დამრიგებელი აფიქსირებს მოსწავლის საჭიროებას და აწვდის ინფორმაციას რემედიატორ მასწავლებელს ან სკოლის ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირს.
10. რემედიატორი მასწავლებელი ატარებს დიაგნოსტირებას და ადგენს მოსწავლის საჭიროების მოკლე აღწერას.
11. მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით განისაზღვრება რემედიაციის ფორმა: გაკვეთილზე ჩაშენებული მხარდაჭერა, დამატებითი გაკვეთილი, მცირე ჯგუფური მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, მშობლის ჩართულობით განხორციელებული აქტივობები ან კომბინირებული ფორმა.
12. მზადდება სარემედიაციო გეგმა, რომელიც მოიცავს მიზანს, აქტივობებს, ვადებს, პასუხისმგებელ პირს, რესურსებს და მონიტორინგის მექანიზმს.

13. მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მიეწოდება ინფორმაცია მოსწავლის საჭიროების, დაგეგმილი მხარდაჭერისა და თანამშრომლობის ფორმების შესახებ.
14. რემედიაციის დაწყება და მიმდინარეობა ფიქსირდება შესაბამის დოკუმენტაციაში.

ერთი და იგივე ან მსგავსი საგანმანათლებლო საჭიროების მქონე რამდენიმე მოსწავლე შეიძლება ჩაერთოს ერთობლივ სარემედიაციო პროგრამაში, თუ ჯგუფური ფორმატი ხელს უწყობს მიზნის მიღწევას და არ აზიანებს მოსწავლეთა ინტერესებს.

მუხლი 8. სარემედიაციო მიზნის ჩამოყალიბება SMART პრინციპით

სარემედიაციო მიზანი უნდა ჩამოყალიბდეს SMART პრინციპით, რათა მასწავლებელს, მოსწავლესა და მშობელს ჰქონდეთ მკაფიო წარმოდგენა, რა უნდა გაუმჯობესდეს, როგორ გაიზომება პროგრესი და რა ვადაშია მოსალოდნელი შედეგი.

კომპონენტი	შინაარსი	მაგალითი
S - კონკრეტული	მიზანი აღწერს კონკრეტულ უნარს ან პრობლემას.	მოსწავლე გაუმჯობესებს მოკლე ტექსტის ხმამაღლა კითხვის სიზუსტეს.
M - გაზომვადი	შესაძლებელია შედეგის დადგენა კონკრეტული მაჩვენებლით.	10 წინადადებიდან 8-ს წაიკითხავს სწორად და დამოუკიდებლად.
A - მიღწევადი	მიზანი შეესაბამება მოსწავლის რეალურ შესაძლებლობებს.	მიზანი შეირჩევა დიაგნოსტირების შედეგების მიხედვით.
R - რელევანტური	მიზანი უკავშირდება საგნობრივ სტანდარტს და მოსწავლის საჭიროებას.	კითხვის სიზუსტე დაეხმარება წაკითხულის გააზრებაში.
T - დროში განსაზღვრული	მითითებულია მონიტორინგისა და გადახედვის ვადა.	პროგრესი შეფასდება 6 კვირის შემდეგ.

მუხლი 9. სარემედიაციო აქტივობების ფორმები

- გაკვეთილზე ჩაშენებული მხარდაჭერა - მასწავლებელი საკლასო პროცესში იყენებს დამატებით ინსტრუქციას, მოდელირებას, წყვილში მუშაობას, ადაპტირებულ დავალებას, ვიზუალურ ან სხვა რესურსს.
- დამატებითი გაკვეთილი - მოსწავლეს/მოსწავლეთა ჯგუფს უტარდება წინასწარ დაგეგმილი დამატებითი შეხვედრა კონკრეტული უნარის განვითარებისთვის.
- მცირე ჯგუფური მუშაობა - ერთნაირი ან მსგავსი საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები მუშაობენ საერთო მიზანზე.
- ინდივიდუალური მხარდაჭერა - გამოიყენება მაშინ, როდესაც მოსწავლის საჭიროება მოითხოვს პერსონალიზებულ მიდგომას.
- მშობლის ჩართულობით მხარდაჭერა - მშობელს ეძლევა მოკლე, რეალისტური და ბავშვისთვის უსაფრთხო ინსტრუქცია სახლში შესასრულებელი აქტივობებისთვის.
- რესურსებზე დაფუძნებული მხარდაჭერა - გამოიყენება ბარათები, სქემები, სამუშაო ფურცლები, ადაპტირებული ტექსტები, მანიპულატივები, აუდიო/ვიზუალური რესურსები და სხვ.

სარემედიაციო აქტივობა უნდა იყოს მოკლე, მიზნობრივი, მოსწავლისთვის გასაგები და არ უნდა იწვევდეს გადატვირთვას. დამატებითი შეხვედრების დრო განისაზღვრება ისე, რომ მოსწავლეს არ შეექმნას ფიზიკური ან ემოციური დაღლა.

მუხლი 10. რემედიატორი მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები

- მოსწავლეთა უნარების მოკვლევა და დიაგნოსტირება;
- სარემედიაციო პროგრამაში ჩასართავი მოსწავლეების იდენტიფიცირება;
- სარემედიაციო გეგმის მომზადება მოსწავლის საჭიროებისა და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით;
- სარემედიაციო გაკვეთილისთვის სივრცისა და სასწავლო რესურსების ორგანიზება;
- სარემედიაციო გაკვეთილის/აქტივობის დაგეგმვა და ჩატარება;
- თითოეული მოსწავლის განმავითარებელი შეფასება და პროგრესის მონიტორინგი;
- მოსწავლის ჩართვა საკუთარი პროგრესის დანახვისა და თვითშეფასების პროცესში;
- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და თანამშრომლობა;
- საგნის მასწავლებელთან, დამრიგებელთან, კათედრასთან და ადმინისტრაციასთან ინფორმაციის გაზიარება, კონფიდენციალურობის დაცვით;
- რემედიაციის შედეგების დოკუმენტირება და საჭიროების შემთხვევაში გეგმის კორექტირება.

მუხლი 11. საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, კათედრისა და ადმინისტრაციის როლი

11.1. საგნის მასწავლებელი

- აკვირდება მოსწავლის საგნობრივ პროგრესს და დროულად აფიქსირებს საჭიროებას;
- იყენებს დიფერენცირებულ სწავლებას და განმავითარებელ უკუკავშირს;
- თანამშრომლობს რემედიატორ მასწავლებელთან სარემედიაციო მიზნისა და აქტივობების განსაზღვრისას;
- რემედიაციის შედეგებს ითვალისწინებს შემდგომი სწავლების დაგეგმვისას.

11.2. კლასის დამრიგებელი

- კოორდინაციას უწევს მშობელთან კომუნიკაციას;
- აგროვებს ზოგად ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური და სოციალური მდგომარეობის შესახებ;
- ხელს უწყობს მოსწავლის ემოციურად უსაფრთხო ჩართვას პროცესში.

11.3. საგნობრივი კათედრა

- განიხილავს საერთო საგნობრივ სირთულეებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს;

- უზრუნველყოფს გამოცდილების გაზიარებას მასწავლებლებს შორის;
- საჭიროების შემთხვევაში ამტკიცებს/ათანხმებს სარემედიაციო რესურსებსა და მიდგომებს.

11.4. სკოლის ადმინისტრაცია

- უზრუნველყოფს პროცესის ორგანიზაციულ მხარდაჭერას;
- განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს და დოკუმენტაციის წარმოების წესს;
- ქმნის უსაფრთხო და არასტიგმატიზებულ გარემოს;
- აკვირდება წესის შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მის განახლებას.

მუხლი 12. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა

- მშობელს მიეწოდება ინფორმაცია მოსწავლის საჭიროების შესახებ მხარდამჭერი და არადამადანაშაულებელი ფორმით.
- მშობელთან შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს სახლში შესასრულებელი მოკლე აქტივობები, მაგალითად: მცირე ტექსტის ერთობლივი კითხვა, სავარჯიშოების მოკლე პაკეტი, განმეორებითი სავარჯიშო, სასწავლო თამაშები და სხვ.
- მშობლის ჩართულობა არ უნდა გადაიქცეს მოსწავლის ზედმეტ დატვირთვად ან დასჯად.
- მშობელი უფლებამოსილია მიიღოს ინფორმაცია მოსწავლის პროგრესის შესახებ, ხოლო სკოლა ვალდებულია დაიცვას მოსწავლის პერსონალური მონაცემები და კონფიდენციალურობა.

მუხლი 13. პროგრესის მონიტორინგი და განმავითარებელი შეფასება

პროგრესის მონიტორინგი ხორციელდება სარემედიაციო მიზნის შესაბამისად. იგი მოიცავს მასწავლებლის დაკვირვებას, მოსწავლის ნამუშევრების ანალიზს, მოკლე განმეორებით დიაგნოსტირებას, მოსწავლის თვითშეფასებას და მშობელთან/მასწავლებელთან უკუკავშირს.

- მასწავლებელი სისტემატურად აკვირდება მოსწავლის განვითარებასა და შედეგების გაუმჯობესებას;
- მოსწავლე, ასაკისა და შესაძლებლობის შესაბამისად, ერთვება საკუთარ პროგრესზე დაკვირვების პროცესში;
- უკუკავშირი უნდა იყოს კონკრეტული, გასაგები, მხარდაჭერაზე ორიენტირებული და ქმედითი;
- პროგრესის შესახებ ჩანაწერები აისახება სარემედიაციო მონიტორინგის ფორმაში;
- თუ პროგრესი არ ფიქსირდება, გეგმა გადაიხედება და იცვლება მიზანი, აქტივობა, რესურსი, სიხშირე ან მხარდაჭერის ფორმა.

მუხლი 14. რემედიაციის ვადა და დასრულება

- რემედიაცია გრძელდება იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა კონკრეტული საგანმანათლებლო პრობლემის მოგვარებისთვის, თუმცა თითოეული გეგმისთვის უნდა განისაზღვროს შუალედური მონიტორინგის ვადა.
- რეკომენდებულია სარემედიაციო გეგმის პირველადი გადახედვა განხორციელდეს 4-8 კვირის ფარგლებში, მიზნის სირთულისა და მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით.
- რემედიაცია სრულდება მაშინ, როდესაც დოკუმენტურად დასტურდება, რომ მოსწავლემ მიაღწია სარემედიაციო მიზანს ან მნიშვნელოვნად შეამცირა იდენტიფიცირებული სირთულე.
- რემედიაციის დასრულების შემდეგ მასწავლებელი ადგენს მოკლე შემაჯამებელ ჩანაწერს მიღწეული შედეგის, გამოყენებული აქტივობებისა და საჭიროების შემთხვევაში შემდგომი რეკომენდაციების შესახებ.
- თუ მოსწავლის საჭიროება კვლავ რჩება, სარემედიაციო გეგმა ახლდება ან საკითხი განიხილება სკოლის შესაბამის სტრუქტურებთან, მათ შორის ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის მექანიზმებთან.

მუხლი 15. ეთიკური ნორმები და მოსწავლის ემოციური უსაფრთხოება

- რემედიაცია არ უნდა იყოს დამთრგუნველი მოსწავლისთვის.
- მასწავლებელი იცავს მოსწავლის ღირსებას, კონფიდენციალურობასა და პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპებს.
- დაუშვებელია მოსწავლის საჯარო შედარება სხვა მოსწავლეებთან ან მისი სირთულის საჯაროდ გამოკვეთა.
- სარემედიაციო აქტივობები უნდა დაიგეგმოს ისე, რომ მოსწავლემ იგრძნოს მხარდაჭერა, შეძლოს პროგრესის დანახვა და შეინარჩუნოს სწავლის მოტივაცია.
- რემედიატორი მასწავლებელი და პროცესში ჩართული პირები იყენებენ პოზიტიურ, წახალისებაზე დაფუძნებულ კომუნიკაციას.

მუხლი 16. დოკუმენტაცია

რემედიაციის პროცესის დოკუმენტირება აუცილებელია პროცესის გამჭვირვალობის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებისა და შემდგომი ანალიზისთვის. სკოლა აწარმოებს შემდეგ დოკუმენტაციას:

- მოსწავლის საჭიროების იდენტიფიცირების ფორმა;
- სარემედიაციო გეგმა;
- პროგრესის მონიტორინგის ჩანაწერი;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაციის ჩანაწერი;
- რემედიაციის შემაჯამებელი ანგარიში.

დოკუმენტაცია ინახება სკოლის მიერ განსაზღვრული წესით და ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ პირებისთვის, რომელთა მონაწილეობაც აუცილებელია მოსწავლის მხარდაჭერის პროცესში.

მუხლი 17. ხარისხის უზრუნველყოფა და წესის გადახედვა

- სკოლა პერიოდულად აანალიზებს რემედიაციის შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში აუმჯობესებს შიდასასკოლო მექანიზმებს.
- ანალიზისას გამოიყენება მოსწავლეთა პროგრესის მონაცემები, მასწავლებელთა უკუკავშირი, მშობელთა უკუკავშირი და საგნობრივი კათედრების რეკომენდაციები.
- წესი გადაიხედება საჭიროებისამებრ, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის ან სკოლის შიდა რეგულაციების ცვლილების შემთხვევაში.

დანართი 1. მოსწავლის საჭიროების იდენტიფიცირების ფორმა

მოსწავლის სახელი, გვარი	
კლასი	
საგანი	
სირთულის მოკლე აღწერა	
სირთულის გამოვლენის წყარო/მონაცემი	
მოსწავლის ძლიერი მხარეები	
პირველადი მხარდაჭერა, რომელიც უკვე განხორციელდა	
რეკომენდაცია სარემედიაციო პროგრამაში ჩართვის შესახებ	

დანართი 2. სარემედიაციო გეგმის ფორმა

SMART მიზანი	აქტივობა/სტრატეგია	ფორმა	სიხშირე/ვადა	რესურსი	პასუხისმგებელი პირი

შენიშვნა: მიზანი უნდა იყოს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და დროში განსაზღვრული.

დანართი 3. პროგრესის მონიტორინგის ფორმა

თარიღი	განხორციელებული აქტივობა	მოსწავლის რეაგირება/ჩართულობა	პროგრესის მტკიცებულება	შემდგომი ნაბიჯი

დანართი 4. მშობელთან კომუნიკაციის ჩანაწერი

კომუნიკაციის თარიღი	
კომუნიკაციის ფორმა	
განხილული საკითხი	
მშობლისთვის მიცემული რეკომენდაცია	
შეთანხმებული აქტივობა სახლში	
შემდგომი შეხვედრის/უკუკავშირის თარიღი	

დანართი 5. რემედიაციის შემაჯამებელი ანგარიში

მოსწავლის სახელი, გვარი	
რემედიაციის პერიოდი	
სარემედიაციო მიზანი	
განხორციელებული ძირითადი აქტივობები	
მიღწეული პროგრესი	
გადაწყვეტილება: დასრულება/გაგრძელება/გეგმის შეცვლა	
შემდგომი რეკომენდაცია	

დანართი 6. მაგალითი - მცირე ჯგუფური რემედიაცია კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად

შემთხვევა: ერთ კლასში სამი მოსწავლისთვის იდენტიფიცირებულია ერთი საგანმანათლებლო პრობლემა - კითხვის უნარის განვითარება. მასწავლებელი გეგმავს კომბინირებულ მხარდაჭერას:

- საკლასო ოთახში იყენებს ადაპტირებულ ტექსტს, წინასწარ ლექსიკურ მხარდაჭერას და წყვილში კითხვას;
- ნიშნავს დამატებით შეხვედრას კვირაში ორჯერ, თითოეული შეხვედრა 25-30 წუთი;
- მშობლებთან კომუნიკაციისას აძლევს ერთობლივ საშინაო აქტივობას - მოკლე მოთხრობის კითხვა და 3 მარტივ კითხვაზე ზეპირი პასუხი;
- ყოველ ორ კვირაში ერთხელ ამოწმებს ტექსტის ამოკითხვის სიზუსტესა და გაგებას;
- პროგრესს აფიქსირებს მონიტორინგის ფორმაში და საჭიროებისამებრ ცვლის ტექსტის სირთულეს.